



ეკონომიკა

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 11.5%-მდე შენედა, წინა თვის 12.8%-იანი დონიდან, ძირითადად გასული წლის მაღალი ბაზიდან გამომდინარე. ამასთან, საბაზო ინფლაცია, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, 0.53პპ-ით 7.0%-მდე გაიზარდა. 2022 წლის ივლისში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+16.4%, 5.25პპ), ტრანსპორტი (+20.6%, 2.46პპ), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+13.3%, 1.31პპ), სასტუმროები და რესტორნები (+14.3%, 0.62პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+8.3%, 0.55პპ) და ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (+9.5%, 0.49პპ). ამასთან, 2022 წლის ივლისში წინა თვესთან შედარებით ადგილი ჰქონდა 0.2%-იან ინფლაციას, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების (-1.4% თ/თ) და ტრანსპორტის (+2.4% თ/თ) კატეგორიებში.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 3 აგვისტოს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0%-ზე დატოვა. სებ-ის თანახმად, ბოლო პერიოდის გლობალურ გამოწვევად კვლავ მაღალი ინფლაცია და ინფლაციური რისკები რჩება, მათ შორის საქართველოშიც სადაც ივლისში ინფლაციამ 11.5% შეადგენა. სებ-ის მიმდინარე პროგნოზით, ინფლაციას მიმდინარე და მომავალ წელს შემცირების ტენდენცია ექნება, და ის მის მიზნობრივ 3.0%-იან დონეს 2023 წლის მეორე ნახევრიდან დაუახლოვდება. ამასთან, სებ-ის შეფასებით, ინფლაციის უფრო სწრაფად შემცირებას მზარდი ერთობლივი მოთხოვნა აფერხებს, რომლის ძირითადი კონტრიბუტორი მოხმარებაა. სებ-ის შეფასებით, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, საკრედიტო აქტივობა წლის განმავლობაში კვლავ მაღალია, რაც სამომხმარებლო, და უცხოური ვალუტით დაკრედიტების ჭარბი ზრდის შედეგია. შესაბამისად, სებ-მა მიიღო გადაწყვეტილება სამომხმარებლო დაკრედიტების შესანელებლად სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადის 4-დან 3 წლამდე შემცირებაზე, რომელიც ძალაში 2022 წლის 15 აგვისტოდან შევა და ძალაში 1 წლის განმავლობაში იქნება (რაც დაანონსდა პრესკონფერენციაზე). რაც შეეხება უცხოური ვალუტით დაკრედიტებას, მასზე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის მსგავსი ეფექტი ექნება აშშ-ში და ევროზონაში საპროცენტო განაკვეთების ზრდას. მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში, სებ-ი 2022 წლის ეკონომიკურ ზრდას 9.0%-ზე პროგნოზირებს. ამასთან, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული დარჩება მანამ, სანამ ინფლაციურ მოლოდინებზე ზრდის მიმართულებით არსებული რისკები საკმარისად არ შერბილდება. თუ ინფლაციური მოლოდინები გაიზარდა ან/და მოთხოვნის მხრიდან ფასებზე დამატებითი ზეწოლა გამოიკვეთა, შესაძლოა, პოლიტიკის უფრო მეტად გამკაცრება ან არსებულ დონეზე უფრო ხანგრძლივად შენარჩუნება გახდეს საჭირო, განმარტავს სებ-ი. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2022 წლის 14 სექტემბერს ჩატარდება.

სავალუტო ინტერვენციები: 2022 წლის აგვისტოს პირველ კვირაში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 30.0 მლნ აშშ დოლარი იყიდა. ამასთან, სებ-მა Bmatch-ის პლატფორმის საშუალებით 110 მლნ აშშ დოლარი შეიძინა ივლისში. აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან დღემდე სებ-ი უცხოური ვალუტის წმინდა მყიდველია, რომელმაც 171.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ამავე პერიოდში ლარი აშშ დოლარის მიმართ 11.8%-ით არის გამყარებული.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,015
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

წლიური ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქსტატი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 2 აგვისტოს 2-წლიანი 80 მლნ ლარის (29.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.2313პპ-ით შემცირდა და 9.846% შეადგინა.

ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 2 აგვისტოს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.2-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.133პპ-ით შემცირდა და 10.390% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 9 აგვისტოს, სადაც 1-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

მადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	160	80	120
1-წელი	145	150	250
2-წელი	580	320	1,060
5-წელი	585	450	3,115
10-წელი	75	25	1,371
სულ	1,545	1,025	5,915


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის ივნისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.27%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.71 (+0.16% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 93.67 (+0.02% წინა კვირასთან შედარებით), 10.57%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 84.62 ფასად (+0.95% წინა კვირასთან შედარებით), 7.27%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 85.78 (+0.23% წინა კვირასთან შედარებით), 7.19%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	85.78	7.19	429.46
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	84.62	7.27	454.16
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	100.71	5.27	189.38
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	99.28	11.71	827.96
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-B+/B1	93.67	10.57	723.65
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B-/B1	96.29	9.41	657.08
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.82	6.43	315.69
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	97.16	12.18	909.87
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+*/B/-	100.32	7.63	432.17

ადგილობრივი ობლიგაციები

Georgia Real Estate	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	99.97	7.50	n/a
KTW	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	99.81	9.50	n/a
GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.88	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.90	4.83	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.46	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	99.48	7.13	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	14.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.96%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	28	14.31%	Oct-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.89%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 17.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +13.55% წინა კვირასთან შედარებით და +30.93% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 302 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.16 - 17.32 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 70 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.24 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +10.43% წინა კვირასთან შედარებით და +27.00% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 125 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 13.72 - 15.34 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 32 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.72 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +6.33% წინა კვირასთან შედარებით და +13.13% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 157 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.17 - 6.72 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 23 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	17.10	841	17.9%	10.2%	2.5%	4.89x	3.84x	3.70x	1.10x	0.89x	0.80x
TBC	TBC	GBP	15.24	841	5.4%	23.3%	-7.6%	4.42x	3.81x	3.45x	0.96x	0.75x	0.63x
Halyk Bank	HSBK	USD	9.75	2,659	-29.9%	-36.1%	-40.9%	2.50x	3.23x	2.76x	0.73x	0.70x	0.60x
Akbank	AKBNK	TRY	9.37	48,724	20.0%	69.7%	30.1%	3.88x	1.38x	2.32x	0.62x	0.50x	0.51x
Garanti	GARAN	TRY	15.68	65,856	31.4%	69.3%	39.1%	4.73x	2.05x	2.84x	0.80x	0.68x	0.64x
Isbank	ISCTR	TRY	6.42	28,890	73.7%	161.7%	98.4%	2.06x	1.01x	1.22x	0.71x	0.60x	0.57x
PKO	PKO	PLN	24.03	30,038	-49.9%	-37.1%	-46.5%	6.21x	6.01x	5.48x	0.80x	0.92x	0.81x
PEKAO	PEO	PLN	69.78	18,315	-48.1%	-29.2%	-42.8%	8.49x	10.30x	5.75x	0.77x	0.90x	0.79x
Millennium	MIL	PLN	3.70	4,488	-58.0%	-27.0%	-54.9%	na	2.54x	2.86x	0.68x	1.11x	0.80x
Mbank	MBK	PLN	217.80	9,231	-54.8%	-32.1%	-49.7%	na	3.69x	3.82x	0.68x	0.79x	0.70x
BRD	BRD	RON	13.50	9,408	-33.2%	-25.0%	-23.7%	7.16x	7.89x	7.34x	0.95x	1.25x	1.18x
Banca Transilvania	TLV	RON	2.08	13,128	-13.3%	-9.7%	-9.6%	6.60x	6.82x	6.43x	1.45x	1.44x	1.42x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	13.82x	10.51x	0.65x	0.77x	0.68x
Komercni	KOMB	CZK	618.00	117,450	-36.6%	-25.2%	-33.9%	9.40x	8.14x	8.47x	0.96x	1.05x	1.00x
საშუალო								5.76x	5.32x	4.78x	0.85x	0.88x	0.80x
მედიანა								5.55x	3.82x	3.76x	0.78x	0.84x	0.75x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.72	313	-1.9%	7.2%	-5.8%	1.90x	na	na	0.43x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.22	481	-0.6%	5.4%	-1.6%	14.78x	na	na	1.00x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	22.06	45,011	49.3%	128.6%	66.7%	3.61x	5.12x	4.72x	0.85x	0.80x	0.63x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.50	536	-21.8%	-25.0%	-28.5%	2.83x	na	9.16x	0.75x	1.11x	1.02x
Eurazeo	RF	EUR	64.95	5,146	-5.8%	-25.3%	-15.4%	3.25x	na	na	0.81x	0.79x	0.75x
Carlyle Group	CG	USD	38.04	13,553	-23.7%	-21.6%	-30.7%	4.56x	9.17x	8.19x	2.56x	3.01x	2.48x
Wendel SE	MF	EUR	85.65	3,833	-8.2%	-29.7%	-18.7%	3.65x	7.95x	7.85x	1.43x	1.50x	1.31x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.80	1,728	-10.6%	-6.2%	-9.8%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	16.35	713	-6.6%	7.9%	-11.6%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.11	733	-6.2%	16.5%	-1.9%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	10.90	754	-18.0%	-18.2%	-24.6%	4.22x	na	na	0.71x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.46	238	7.9%	9.2%	12.1%	1.94x	na	na	0.49x	na	na
საშუალო								4.53x	7.41x	7.48x	1.00x	1.44x	1.24x
მედიანა								3.61x	7.95x	8.02x	0.81x	1.11x	1.02x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge